

შანანა ტაბიძე

თბილისის ენობრივი სიტუაციის ზოგი საკითხი

სპეციალისტები სალიტერატურო ენას სამწერლობო ენასაც უწოდებენ, რამდენადაც ამ ტერმინით უკეთაა ხაზგასმული სტანდარტიზებული ენის წერილობით ტრადიციისთან საყალბებულო კავშირი. არასპეციალისტები კი (მათ შორის, განათლებული საზოგადოებაც) ხშირად მცდარად უკავშირებენ სალიტერატურო ენის ცნებას გეოგრაფიულ ან ურბანულ მარკერს და აცხადებენ, რომ სალიტერატურო ენა ქალაქის, მირითადად დედაქალაქის, მეტყველებასთანაა ახლოს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჩვენში, თვით სპეციალისტთა შორისაც, ჯერ კარგად არ არის გათავისებული თბილისის მეტყველების ერთ მთლიან თბილისურ დიალექტად ან ქალაქის სოციალურ სტრატებად (სოციალურ დიალექტებად) მოაზრების საკითხი, და ის, თუ სად უნდა მოქმედეს დიალექტოლოგიურ რუკაზე თბილისის (ან მისი ცალკეული რაიონის, თუ ცალკეული სოციალური ჯგუფის) მეტყველება.

მართებულად აღნიშნავს ს. ი. ოვეგოვი: „ერთი მხრივ არის სალიტერატურო ენა, გამოხატვის საკმაოდ მყარი ფორმებით, მკეთრი ტრადიციული, კონსერვატიული ტენდენციებით, როგორც კულტურული და სახელმწიფო ენა, იგი არსებითად ექსტერიტორიულია და ქალაქში მისთვის არის მხოლოდ დამატებისათვის საკეთესო წერტილი. მისკენ ისწრავიან ისინი, ვისაც კულტურული მოქალაქეობის დამკვიდრება სურს“¹. თუმცა ტერმინი „ქალაქური მეტყველება“ რამე მთლიანს სულაც არ გულისხმობს; ჩვენს სინამდვილეში ქალაქის მეტყველებისათვის დამახასიათებელი ნიშნები საგანგებოდ უნდა „გამოიხშიროს“ სხვადას-

¹ С. И. Ожегов, О просторечии (к вопросу о языке города), Вопросы языкоznания, №5, 2000, Наука, Москва, 93-110. (ოვეგოვის ეს ნაშრომი ამოღებულია სარქივო მასალებიდან და 2000 წელს პირველად გამოქვეყნდა).

ხვა დიალექტური არეალიდან შემოსული ფორმების, ფუნქციური სტილებისა და ქვესტილების თავისებურებებისაგან და ამ გზით დადგინდეს უშუალოდ ქალაქის, და კერძოდ, დედაქალაქის მეტყველებისათვის სპეციფიკური ნიშნები. აქ დაისმის საკითხი, თუ რა უნდა იყოს ამ სპეციფიკის განმსაზღვრელი: გამოთქმა, ლექსიკა, სინტაქსი თუ სხვ.

ქართულ სინამდვილეში თბილისი საქართველოს სხვა ქალაქებისაგან განსხვავებულ სოციალურ სქემის ქმნის და ეს უკევლიდ იქნება ასახული შეტყველებაში. ამას თავისი ახსნა აქვს: თბილისი ისტორიულად არის საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცენტრი, რომელიც ოდიოგაზე ვითარდებოდა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების (შიდა ქართლი, კახეთი, ქვემო ქართლი და თრიალეთ-ჯვახეთი) შესაყარზე და მის ყოფაში იორეულებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიული და სამეტყველო თავისებურებანი. თუმცა თანამედროვე გავეძით ურბანული თავისებურებები თბილისმა ძირითადად XIX საუკუნიდან შეიძინა, როდესაც იგი უკვე აღარ წარმოადგენდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს დედაქალაქს და ჩუქეთის იმპერიის ერთ-ერთი განაპირია პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრად იყო ქცეული. ამ პრიორიტეტით იწყება თბილისის მოსახლეობის სისტემატური მატება, რაც არ ყოფილა მხოლოდ ურბანული ტენდენციის შედეგი, არამედ მეტროპოლიტიან განნორციელებული საგანგებო კეონომიკური და ნაციონალური პოლიტიკითაც იყო განპირობებული და ამ ვითარებაში თითქმის მთელი მეოცე საუკუნე მოიცავ (დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს არსებობის იმ მცირე პრიორიტეტის გამოყლებით, რომლებიც ცალკე უნდა გაანალიზდეს).

¹ მაგალითად, თბილისში 1897-1910 წლებში სომხების როცხნობა გაიზარდა 45,7 თასიდან 124,9 თასისმდე, რომელთაგან დაახლოებით 58 თასი იყო ინდიან მოსული (უპირატესად თურქეთიდან). (П. Аргутинский. Население Тифлиса. Тифлис. Муниципаль. Календарь на 1917 г. Тифлис, 1916, с. 163), ცნობა აღნებულია შოთა თეთვაძისა და თამაზ თეთვაძის წიგნიდან — „სომხები საქართველოში“, თბილისი, 1998. იზრდებოდა სოულიდან ქალაქში სამუშაოთა წასულთა ჩიცხვიც, ხოლო საბჭოთა პერიოდში მიგრაციული პროცესი მთელ საკუმინო სიცრცეს მოიცავდა და მარტო ჩესპუბლიკის მოსახლეობის გადაადგილებით არ შემოიფარგლებოდა. მაგალითად, 1926 წელს თბილისში მუშათა რაოდენობა უდრიდა 22247 კაცს, 1930 წელს ეს რიცხვი 28640 კაციმდე გაიზარდა. ზრდის ტემპმა შეადგინა 28,7 პროცენტი. 1939 წელს თბილისის მოსახლეობაში მუშათა კლასის წარმომადგენლობა უკვე უდრიდა 43,7 პროცენტს (იყო 226755 კაცი). ეს ციტრი ყოველწლიურად იზრდებოდა. (ალექსანდრე დაუშვილი, თბილისი 1937, თბილისი, 1997, გვ. 25).

თბილისი ერთხანს მიერკავებასის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქიდაც გამოცხადდა, ამან კი ხელსაყრელი პირობები შექმნა მოსახლეობის მიზიდვისათვის არა მარტო საქართველოს და მიერკავებასის სხეადასხვა ნაწილებიდან, არამედ საბჭოთა კავშირის დანარჩენი მეზობელი არიონებიდანაც. საბჭოთა პერიოდის თბილისის მოსახლეობის მექანიკურ ზრდაში, მიგრაციულ პროცესებთან ერთად გარეკაულ როლს ასრულებდა მეზობლად მდებარე დაბებისა და სოფლების შერწყმა ქალაქთან.

ეს კი თავისთვად არ აძლევდა ქალაქის მეტყველებას საკუთარი დინამიკით განვითარების საშუალებას და მუდმივად აკავშირებდა მას გეოგრაფიული დიალექტების განსაზღვრულ ტიპებთან. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკის სამმართველოს მასალების საფუძველზე განხორციელებული ანგარიშით ომისწინა ხუთწლედების მანძილზე ქალაქის მოსახლეობის მოლიან მატებაში დაახლოებით 1/3 მოდიოდა ბუნებრივ ზრდაზე და 2/3 — მექანიკურზე. (თბილისი, 1989 (რედაქტორი ვ. ჯორშვილი), გვ. 109).

შესაბამისად, თბილისის მოსახლეობის მეტყველების თავისებურებების განსაზღვრად გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

თბილისის მოსახლეობის ეროვნული და სოციალური შედგენილობა და მისი რაოდენობის ცვლის დინამიკა XIX საუკუნემდე და ამ საფუძველზე განსაზღვრული მეტყველების თავისებურებანი (ამ მასალის მოძიება შესაძლებელია თბილისის რეალობის ამსახველ ოფიციალურ დოკუმენტებსა და ქალაქურ ფოლკლორში);

მოსახლეობის ეროვნული და სოციალური შედგენილობა და ცვლის დინამიკა XIX საუკუნეში და თბილისის მეტყველების თავისებურებანი XIX საუკუნის მწერლობის, ისტორიული დოკუმენტების, ოფიციალური დოკუმენტებისა და პრესის ენის მიხედვით;

XX საუკუნის თბილისის მოსახლეობის ეროვნული და სოციალური შედგენილობა, ცვლის დინამიკა და მეტყველების თავისებურებანი; XX საუკუნის თბილისის მეტყველების შესასწავლად საჭირო იქნება გამოიყოს ის პერიოდები, რო-

დესაც ქალაქურ მეტყველებაში მკვეთრ ცვლილებებს იწვევდა საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური გარდატეხები, რომელთა ეპიცენტრს ყოველთვის დედაქალაქი წარმოადგენდა:

1. XX საუკუნის დასაწყისი ჩუქეთის ცარისტული იმპერიის ნაწილად ყოფნის ხანა;
2. 1917-1921 წლების თბილისი — დამოუკიდებელი საქართველოს დედაქალაქი და ქალაქური მეტყველება;
3. გასაბჭოების შემდგომი თბილისის და თბილისური მეტყველების თავისებურებანი; ინტერნაციონალური უარვნები;
4. 90-იანი წლების დასაწყისი — თბილისის სტრატები (სოციალური ჯგუფების მეტყველების ცვლა, ელიტარული წრეების მეტყველება, საკუთარი სახელების გაქართულება და სხვ.);

მოსახლეობის თვითკუთვნილების საკითხი („ნამდვილი თბილისელი, თბილისელი“, ქართველი?).

ლტოლვილთა ნაკადები თბილისში და თბილისური მეტყველების ახალი ეტაპი.

XXI საუკუნის დასაწყისი — თბილისის მოსახლეობის ეროვნული და სოციალური შედეგების და ცვლის დინამიკა, მეტყველების თავისებურებანი.

ქალაქის მეტყველებაზე საუბრისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ტერმინთა შეჩჩევაა. კერძოდ, ჩა ტერმინებია მოსახერხებელი ქალაქის მეტყველების (ანუ ქალაქური დიალექტის) და მისი სახეების აღსანიშნავად.

ქალაქებს საერთო ურბანულ ნიშნებთან ერთად თავისი ინდივიდუალური ხასიათიც გააჩნიათ, რაც სოციალური წარმოდგენების განსხვავებულობას იწვევს. სოციალური გემოვნება, კულტურული ტრადიცია, ელიტარული წრეების ეკონომიკური პრიორიტეტების განმსაზღვრელი საფუძვლების სპეციფიკა, გავრცელებული დარგები, ეკონომიკური დონე, კულტურული დონე, კრიმინალური დონე და სხვ. მნიშვნელოვნად განასხვავებს ერთმანეთი-საგან არა მარტო სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქებს, არამედ ერთი ქვეყნის ქალაქებსაც. თუნდაც ავილოთ, ერთი მხრივ, თბილისის ელიტარული, პრივილეგირებული ინტელიგენციის მეტყველე-

ბაში აშკარად გამოხატული რუსული გამოთქმის (პრონონსის) მოძალება (დიფორმნების, „სირბილის ნიშნის“, მახვილის), კავკა-სიური მკეცითრების შეჩბილებისა თუ „მოევროპულების“ ტენდენ-ცია და რუსული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ხშირი გამოყენება ქართულ მეტყველებაში 90-იან წლებიდან, ან ახალი თაობის ელიტარული ინტელიგენციის მიერ ინგლისური აქცენტის ან ლექ-სიკური ჩანართების გამოყენება საკუთარი პრიორიტეტულობის დასამტკიცებლად 1992 წლიდან დღემდე, ხოლო მეორე მხრივ, ინგლისული ან ამერიკელი ელიტარული ინტელიგენციის მისწა-ფება, რომ თავისი პრიორიტეტულობა ინგლისურის კარგი ცოდ-ნით დაამტკიცოს, ანუ მაღალი კლასის მაილენტიფიცირებელ ნიშ-ნად სწორედ სახელმწიფო ენის ზედმიწევნითი ცოდნა მიიჩნიოს. საბჭოთა პერიოდში, საყოველთაო სავალდებულო განათლების პირობებში, წერა-კითხვის უკოდინრობა ფაქტობრივ არ არსე-ბობდა, ასევე, საერთო საგამმანათლებლო სისტემისა და მასშედი-ის ორგანიზებული მართვის შედეგად მეტყველების თვალსაზრი-სით საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია ნაკლებად მკვეთრი იყო, ამიტომ საბჭოთა თბილისისათვის ნიშანდობლივი მეტყველებითი სტრატების რაოდენობა გაცილებით ნაკლები იყო, ვიღრე ამჟამადაა, როდესაც მოსახლეობის სოციალური დიფერენ-ციაცია და ქალაქის უბნების სოციალური პრინციპით დასახლე-ბის ტენდენცია გაძლიერდა.

ქალაქის მეტყველების ცნებასთან ასოცირდება ე.წ. „მდა-ბიური მეტყველების“ ცნებაც, რომელიც ერთი მხრივ, ემსგავსება გეოგრაფიულ დიალექტს, რამდენადაც არანორმირებულია, და მეორე მხრივ, მსგავსია ფუნქციური სტილისა, რამდენადაც სოცი-ალურად განპირობებულია. სოციალური გარემო თავად განსა-ზღვრავს მდაბიური მეტყველების დროებითობასა და მისგან გან-თავისუფლების საჭიროებას. ამიტომ „მდაბიური მეტყველება“ არის ტიპი საერთო ენისა, რომელიც იქმნება დიალექტების სა-ფუძველზე, მაგრამ არ გადაიქცევა დიალექტად.

თავად ტერმინი „მდაბიური მეტყველება“ ქართულში არც მაინცა და მაინცაა გავრცელებული, შესაძლოა იმიტომაც, რომ ტერმინი „მდაბიური“ შინაარსით უფრო სოციალურია, ვიდ-რე იგივე რუსული **просторечие**, ან ინგლისური **slang**-ი. რუსუ-ლი **просторечие** ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში გან-

მარტებულია, როგორც „ეროვნული ენის ერთ-ერთი ფორმა, დი-
ალექტური, ჟარგონულ მეტყველებასა და სალიტერატურო
ენასთან ერთად. ხალხურ კილოებსა და ერგონთან იგი ერთად
შეაღებენ საერთოეროვნული სამეტყველო კომუნიკაციის არაკო-
ლირებულ სფეროს — ხალხურ-სასაუბრო ენას; აქვს ზედიალექ-
ტური ხასიათი. კილოებისა და უარგონისაგან განსხვავებით,
просторечие ეროვნული ენის მტარებელთათვის ერთიანად გასა-
გებია“. ამავე ლექსიკონში აღნიშნულია, რომ просторечие რუ-
სისტემის ტერმინია, და სწავა ენებთან პარალელის გავლებისას მი-
სი ზუსტი შესატყვისი არ იძებნება, აქ მხოლოდ ფუნქციითა და
შედგნილობით მსგავს სფეროებზე შეიძლება საუბარი. (შლრ.
ფრანგ. *La langue populaire, bas-language*, ჩეხური „საყოფაცხოვ-
რებო-სასაუბრო ენა“, იტალ. *Dialetto regionale*). ამავე რიგში
უნდა განვიხილოთ ტერმინი „არგო“, რომელიც შემდგენარად
განიმარტება: „არგო (ფრანგ. Argot) — რომელიმე პროფესიული
ან სოციალური შეზღუდული ჯგუფის საგანგებო, განსაუთრებუ-
ლი ენა, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე ბუნებრივი ენის
თავისუფლად შერჩეული სახეცვლილი ელემენტებისაგან (აქვთ,
უარგონი). არგო, როგორც წესი, გამოიყენება კომუნიკაციის საგ-
ნის დასაფარავად“. (Лингвистический энциклопедический сло-
варь, 1990). იყენებენ სხვა ტერმინებსაც, მაგალითად „ქუჩის მე-
ტყველება“, „ქალაქური ჟარგონი“ და სხვ. ქართული ენის გან-
მარტებით ლექსიკონში გამოყენებულია ტერმინი „გულგარიზი“. ქალაქის (დიდი ქალაქების) მეტყველებითი მრავალფეროვ-
ნება ქვეყანათა გეოგრაფიული დიალექტების სიმრავლეს არ
ჩამორჩება. მაგალითად, ნიუ-იორკის მეტყველების თავისებურება-
თა შესახებ მრავალი უაღრესად საინტერესო გამოკვლევაა გინ-
ხორციელებული, ერთ-ერთი ფრიად სოლიდური ნაშრომი —
The City in Slang, New York life and Popular Speech, Irving Lewis
Allen, New York, Oxford, Oxford University Press, 1993. რომელშიც
აღნიშნულია, რომ ქალაქის მეტყველებაში ძირითადად იმდენივე
სამეტყველო ჯგუფი გამოიყოფა, რამდენიც — სოციალური ჯგუ-
ფი. მაგალითად, ნიუ-იორკის მცხოვრებთა კლასიფიცირება შეიძ-
ლება შემდეგ ჯგუფებად: მკვიდრთა და იმიგრანტთა, საშუალო
კლასის, მუშათა და მაღალი კლასის წარმომადგენლებად, ასაკობ-

რავ ჭმულებად, პროფესიულ ჭმულებად, ცხოვრების სტილის მიხედვით განსხვავებულ ჭმულებად. „სლენგი თავის ყოველდღიურობაში სოციალური სხვაობებიდან გამომდინარეობს, დამკიდებულია მათზე, იქვემდებარებს და აღნიშნავს კიდეც მათ“. საგანგებო სამეტყველო ჭმულებს ქმნიან მოლაპარაკენი ტრანსპორტში, კაფეში, სალონებში, მათხოვრები... მეტყველების ხასიათზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი: ეკონომიკური მდგრადირეობა, განათლების დონე, საცხოვრებელი რაიონი, უბანი, საქმიანობა, მოლაპარაკეთა ასაკი, სქესი...¹

ქალაქის მეტყველებაზე დაკვირვების საშუალებას იძლევა მხატვრული ლიტერატურა, რომლის მიხედვითაც გაიჩინება ერთი მხრივ, „ქალაქელი მწერლების“ (მაგ., ნიუ-იორკის შესახებ წერდნენ: დეარ ჰოუელსი, ოეოდორ დრაიზერი, ედიტ ვარტონი, ჯონ დოს პასოსი, თომას ვულფი) ენა და მეორე მხრივ, „ქალაქელი მწერლების“ პერსონაჟთა ენა; მაგრამ მხატვრული ლიტერატურის მაგალითები სტილიზებულია და თავისებურად განზოგადებული. რეალურად კი ქალაქის სხვადასხვა რაიონში მცხოვრებთა მეტყველება დიდ სხვადასხვაობას აჩვენებს და განზოგადებას მცირედ ექვემდებარება. მაგალითად, სტიუ ურელანდი აღნიშნავს, რომ 1981 წელს გამოიკვლია 37 სხვადასხვა ადგილის მცხოვრები 371 ინფორმაციის მეტყველება, აღმოჩნდა რომ თითქმის ყველგან განსხვავებული იყო პ-ს წარმოთქმა სიტყვებში: Ap(f)el, P(f)und p(f)effer, apple, paund, pepper.

1880 წელს მაშინდელი თბილისის შესახებ ოლივერ უორდონპი წერდა: „თბილისის მოსახლეობა 105.000. აქ ცხოვრობენ არა მხროდ ქართველები, არამედ რუსები (სამქალაქო მოსამსახურეები და გარისკაცები), სომხები (ვაჭრები და მევახშეები),

¹ The City in Slang, New York Life and Popular Speech, Irving Lewis Allen, New York Oxford, Oxford University Press, 1993: მაგალითად, ნიუ-იორკის ბროდვეისა და ბოუერის საზოგადოებრივი კვადრატები და სხვა სოციალური კავშირების შემცველი უბნები (შედისნო, ცენტრალური პარკი, მდიდართა რაიონი და მილიონერთა ჩიხები, ეთნიკური უბნები და მათი მეზობლობის საზღვრები, გარეუბნები (ჩინტაუნი, გარილეში, იტალიური კვარტალი, ფინანსური რაიონები (უოლსტრიტი) და დამის ცხოვრების სპეციალიზებული უბნები, ღატაკთა უბნები და სხვ. (გვ. 13).

სპარსელები, თაორები, ცოტა ევროპელები, სახელდობრ, გერმანელები (კოლონისტები შვაბიდან), ფრანგები (მკერავები, სასტუმროს მებატრონები) და სხვა. მართალია, ინგლისელ მაცხოვრებელთა რიცხვი აქ თითზეა ჩამოსათვლელი, მაინც სამწუხაროა, რომ მისი უდიდებულესობის საკონსულო 1881 წელს დაიხურა“. (სერ ოლივერ უორდრობი, საქართველოს სამეცნ, თბილისი, 2001, გვ. 37). უორდრობის ამ წიგნში მთელი ქვეთავი ეძღვნება თბილისს, და ქალაქი დახასიათებულია თავისი უბნების მიხელვით (ცხადია, ეს დახასიათება შორსაა სოციოლოგიურისაგან, მაგრამ მცირეოდენი სოციალური შეფასებები აქაც ჩნდება). წიგნს ერთვის სტატისტიკური მონაცემებიც, კომენტარით, რომ „წარმოდგენილი უყვალა ციფრი ოფიციალური გაზეთებიდან არის ამოღებული და 1886 წელს ეხება. ის მაინცდამაინც სარწმუნო არ უნდა იყოს“. ამ მონაცემებით 1886 წლისათვის თბილისის გუბერნიას 40.473 კმ. სივრცე უჭირავს, ხოლო მოსახლეობა სულ 735.000 კაცია. თავად ქალაქ თბილისში მოსახლეობა 104.024 სულს უდრის.

საგანმანათლებლო დაწესებულებათა სტატისტიკა თბილისის გურებრინიაში ასეთია:

გიმნაზია	მუნიციპალური სკოლები	კერძო სკოლები	დაწყებითი სკოლები	მთლიანი რიცხვი
17	16	35	339	407

თბილისის გუბერნიის მოსწავლე მოსახლეობის რაოდენობრივი მაჩვენებელი ასე გამოიყურება:

ვაჟი	ქალი	მთლიანად	სკოლები (ყოველ 10000 მცხოვრებზე)	მოსწავლეები (ყოველ 10000 მცხოვრებზე)
16.282	6.727	23.009	5.03	284

ქ. თბილისის მოსახლეობის დინამიკა XIX საუკუნეში და XX ს. დასაწყისში

წელი	მოსახლეობა (ათასებში)
1800	15,4 ¹
1832	25,8 ²
1865	71,0 ³
1875	104,0 ⁴
1897	159,6 ⁵
1914	344,6 ⁶

თბილისი, როგორც დედაქალაქი, თითქმის მუშაობაზე
წარმოადგენდა საქართველოს მოსახლეობის შეიაძლეობის ცენტრს, თუმცა ჩენი ქვეყნის ისტორიაში იყო მომენტები, როდესაც თბილისი „ჩაიეკტებოდა“ ხოლმე დანარჩენი მოსახლეობისათვის, ასეთ მომენტებში ჭულტურული (და ეკონომიკური) ცენტრის ფუნქციას სხვა ჭალავდი (ზაგ. ქუთაისი, გეგუთი) შეითავსებდა ხოლმე... მაგრამ პროლიტიკური მნიშვნელობის აღდგენასთან ერთად უმაღლე იბრუნებდა სოციალური ლიდერის როლისაც. ურბანული თბილისის მოსახლეობის ზოდა განსაკუთრებით შესაძნევია გასაბჭოების შემდეგ, როდესაც მოსახლეობის შექანიკური მატების პროცესი აშეარა მართულია გარეუან (საბჭოთა ცენტრითან).

მოსახლეობის დინამიკა თბილისში 1922-1987 წლებში

წელი	მოსახლეობა (ათასობით)
1922	233,9
1926	294,0
1939	519,0
1959	703,0
1970	889,0
1979	1069,4
1985	1158,1
1987	1210,5

¹ ვარტანგ გომიშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. „მეცნიერება“, თბ., 1984, გვ. 63.

² იქვე 71.

³ Сборник статистических сведений о Кавказе. Тифлис, 1869, том I, отд. II, с. 64.

⁴ Сборник сведений о Кавказе. Т. VI. Тифлис по однодневной переписи 1876 года, Тифлис, 1880.

⁵ Сборник статистических сведений по Закавказскому краю, под редакцией Е. Кондратенко, Тифлис, 1902, таблицы 1,2.

⁶ Кавказский календарь за 1915 год, с. 225.

სხეციალურ ლიტერატურაში მითოებულია, რომ ქალაქის მოსახლეობის მატებაში დაახლოებით 2/3 მოდიოდა მოსახლეობის მეტანიურ ზრდაზე. ჩამოსახლებულთა შორის ჭარბობდა რესპუბლიკის გარედან მოსულები. (თბილისი, 1989, გვ. 109).

„ქველი თბილისის თითოეულ უბანში ცხოვრობდა უპირატესად ერთი რომელიმე ეროვნების მოსახლეობა. ასეთი უბნები ჰქონდათ სპარსელებს, ებრაელებს, სომხებს და ნაწილობრივ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებსაც.

ეს განსახლების სურათი XIX საუკუნეშიც არსებობდა. ზოგი ასეთი უბანი სწორედ მაშინ შეიქმნა. სომები ბურუუაზის დიდი ნაწილი გასული საუკუნის შემდეგიდან დამკვიდრდა სოლოლაკის მდიდრულ კვარტალში, ხოლო ამ ეროვნების ღარიბი ფერნები უპირატესად ავლაბარში ცხოვრობდნენ. რუსმა სექტანტებმა შექმნეს თავისი უბნები მეტების ციხის მოსაზღვრე ჭალაში, რომელიც ადრე მტკვრის ნოლას ეკავა (peスキ). იმავე სექტანტების დასახლება შეიქმნა რეინიგზის სადგურის მახლობლად, ახლანდელი ფიროსმანისა და საბჭოს ქუჩის მიდამოებში. გასული საუკუნის 80-იან წლებში ახლად ჩამოსახლებული ჭართველების საკმაოდ ვრცელი უბნები წარმოქმნა რეინიგზის გადაღმა — ნაძალადევში¹. (თბილისი, 1989, გვ. 132). იმავე წიგნში აღნიშნულია, რომ 80-იანი წლებისათვის ამგვარი ეროვნულად განკერძოებული უბნების ეთნიკური „ჩაკეტილობა“ შესუსტდა. რადგან მიგრანტთა „ტალღისებური“ ჩამოსახლებები აჩათანაბრად ხორციელდებოდა. მიუხედავად ამისა, 50-იანი წლებიდან გაძლიერებული მოსახლეობის ჩამოსახლება საჭართველოს სოფლებიდან და ქალაქებიდან მირითადად მაშინდელი ლენინის, გლდანის, ორჯონიშვილისა და საბურთალოს აგიონებში ხდება, სადაც თავს იყრის თბილისის ქართული მოსახლეობის 3/5, ხოლო 26 კომისარის და სა-

¹ დასახლებულ წიგნში შესაბამის სქოლიში მითითებულია, რომ „თვით სახელწოდება „ნაძალადევი“ ამ უბნებმა მიიღო იმის გამო, რომ ჩამოსახლებანი ექვემდებარება „ქალაქის ხელისუფლების ნებართვის გარეშე“. (გვ. 132) ჩვენ კი დავვჩიტებდით, რომ ხელისუფლების აქტიური კონტროლი თბილისში ჩამოსახლელთა განსახლებაზე მასალების მიხედვით ყოველთვის ჭართველების შეზღუდვისაკენაა მიმართული და არა უცხო ეთნოსის წარმომადგენლებისაკენ, თუმცა საპოლემიკურ წერილებში ხშირად ისმის მოსაზრება, რომ საჭართველოს არ ესპირობა ესოდენ დიდი დედაქალაქი.

ქარხნო რაიონებს, სადაც ტრადიციულად იღებული სომხები და რუსები ქარბობდნენ, ამ ეროვნებათა ახალი კონტინგენტებიც ემატებოდა; ქართველობა კი იქ კვლავ ნაკლებად სახლობდა.

ცხადია, დროთა განმავლობაში თბილისის ტერიტორიაცა და მოსახლეობის რაოდენობაც (ეროვნულ და სოციალურ შემადგენლობასთან ერთად) მნიშვნელოვნად შეიცვალა. ჩვენ შეგვიძლია წარმოვადგინოთ თბილისის მოსახლეობის ეროვნული შედგენილობის ცვლის დინამიკა „საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სტატისტიკური კრებულის“ მიხედვით („საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, სტატისტიკური კრებული“, 1991)

რიცხოვნობა; კაცი	პროცენტობით მთელ მოსახლეობასთან			
	1959	1970	1979	1989
მოსახლეობა სულ	694664	889020	1052734	1243150
ქართველი	336257	511379	653242	820753
აფხაზი	234	314	323	405
იხი	15565	21797	27864	33138
რუსი	125674	124316	129122	124825
უკრაინელი	10927	10600	12606	16066
ბელარუსი	890	1402	1257	2148
აზერბაიჯანელი	9560	10810	12852	17968
სომები	149258	150205	152767	150127
თავარი	1583	1605	1434	1328
ებრაელი	17311	19579	14877	13539
ასორცელი	—	2786	2247	2752
ბერძენი	7054	10696	16179	21715
ქურქი	12935	18409	23409	30299

ამჟამად თბილისის მოსახლეობის რაოდენობას 1 მილიონ 250 ათასი კაცით განსაზღვრავენ (და მიიჩნევენ, რომ თუმცა 1989 წლის შემდეგ აღწერა არ ჩატარებულა, მოსახლეობის რაოდენობა დღეისათვის არ შეცვლილა). აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში განვითარებული მოვლენებისა და აჩაქართველი მოსახლეობის მიგრაციის, იძულებით გადაადგილებულ პირთა თავმოყრის გამო თბილისის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამჟამად, თბილისში მცხოვრებთა 75% ქართველია). თბილისი კარგად გამოჩატული ყოველდღი-

ური „ქანქარისებური“ მიგრაციით ხასიათდება. აქ ყოველდღიურად 10-30 ათასი კაცი ჩამოდის სავაჭროდ, სამუშაოდ და სასწავლად. თბილისში ყველაზე მჭიდროდ დასახლებულია ცენტრი და საცხოვრებელი მასივები (25 ათასი კაცი/კმ. კვადრატზე). დღეს თბილისში 10 ადმინისტრაციული რაიონია, უძნები კი 30-ზე მეტია. (მტკვრის მარჯვენა სანაპირო: დიდი დილომი, დილომი, ვაშლიჯვარი, საბურთალო, ვეძისი, დელისი, ნუცუბიძის პლატო, ვაკე, ბაგები, ვერე, სემიონოვეკა, მთაწმინდა, სოლოლაკი, მეიდანი, ორთაჭალა, კრწანისი, ფონიშვილი და სხვ. მცირე უბნები. მარცხენა სანაპიროზე: ავჭალა, პატარა გლდანი, გლდანულა, მუხიანი, თემქა, სანზონა, ნაძალადევი, ლოტკინი, დიდუბე, კუჭია, სვანეთის უბანი, პლეხანოვი, ოქროსუბანი, ვორონცოვი, ჩუღურეთი, ავლაბარი, ელია, ნაეთლული, ვაზისუბანი, მე-3 მასივი, ისანი, სამგორი, ვარკეთილი, ორხევი, ლილო, აეროპორტი, ალექსეევკა და სხვ.)

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 01. 1997 წლის მონაცემებით იძულებით გადააღგილებულ პირთა — დევნილთა განსახლების სქემა ასე გამოიყურება:²

- გლდანი — 14 600
- საბურთალო — 14 400
- ისანი — 11 800
- ნაძალადევი — 11 200
- დიდუბე — 9 300
- სამგორი — 8 200
- ვაკე — 7 700
- ჩუღურეთი — 6 400
- მთაწმინდა — 6 300
- კრწანისი — 4 200

ცხადია, საქართველოსათვის აუცილებლად გადასაჭრელ პრობლემად ჩეჩება დევნილთა საკუთარ ტერიტორიებზე დაბრუ-

¹ ნ. ბერუბაშვილი, ზ. ლავითაშვილი, ნ. ელიზარაშვილი, საქართველოს ვიზუალური, წიგნი III, ჩეხიონები, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 2000. 9-11. თობა (თამაში) გურეშვილი, საქართველოს გარემოგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები, თბილისი, 1998, გვ. 65.

ნების საკითხი, მაგრამ ამჟამინდელ თბილისში შექმნილი თვით-კუთვნილებითი (identity) და ენობრივი სიტუაცია შესაფასებელია, და მიუხედავად სტატისტიკურ მონაცემთა ტრადიციული არასამედოობისა, ქალაქის სამეტყველო და ეროვნული განვითარების ტენდენციებიც განსასაზღვრი გახლავთ.

თბილისი თანამედროვე ურბანული ნიშნების შეძენის შემდეგაც ჩატარდა ქართული სალიტერატურო ენის განვითარება-გავრცელების კერად და საქართველოს სხვადასხვა რეგიონისა-თვის სალიტერატურო ენის კულტურული ავტორიტეტის, პრესტიჟის განსახიერებად. და თუმცა საბჭოთა პერიოდის თბილისის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ბილინგვა ან სულაც ტრილინგვა იყო, ამასთან, არაქართველთა შენიშვნელოვანი ნაწილი ცუდად ფლობდა ან სულაც არ ფლობდა ქართულს (რომ აღარაფერი ვთქვათ, სალიტერატურო ქართულზე), თბილისი თავისი კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემისა და ქალაქის თვალსაჩინო წარმომადგენლების სწორი ორიენტაციის წყალობით მაინც ჩატარდა მეწინავედ სალიტერატურო ქართულის დაცვის საქმეში. თუმცა მთელი საბჭოთა პერიოდის მანძილზე შეიმჩნეოდა ერთი ტენდენცია — თბილისელობის გარკვეულ პრესტიჟულ სოციალურ კატეგორიად განხილვისა, რასაც კომუნისტური სწობიზმის ელფერი დაპრერავდა და თბილისის მიღმა დარჩენილი ქართველებისათვის თბილისის „ელიტისათვის“ მიეუთვნებულობის გადაულახავ ბარიერებს აღმართავდა. ამგვარ თვითიზოლაციას აუცილებლად ესაბჭიროებოდა საგანგებო ჩარჩო და ამ ჩარჩოს ერთ-ერთ არშიათაგანს მეტყველებაც წარმოადგენდა. ანუ თბილისის ნომენკლატურული ელიტა, რომელიც თავის საქმიან ცხოვრებაში ჩატარდა და სალიტერატურო ქართულს იყენებდა, ყოფა-ცხოვრებაში „საგანგებო მეტყველებას“ მიმართავდა, რომლითაც თავის არამარტო ზოგადურბანულ არამედ შიდარევიონულ თვითეუთვინოლებასაც უსვამდა ხაზს და ამით სხვა მოსახლეობას ემიგრებოდა. რა თავისებურებების შემჩნევა შეიძლება ამ თვალსაზრისით?

თბილისი ინტერნაციონალური ქალაქი იყო რესეტის ბატონობის ხანაში, რასაც ხელი შეუწყო იმანაც, რომ მოსკოვისაგან მას ამიერკავკასიის პოლიტიკური ცენტრის რო-

ლიც დაკისრა. 1922 წელს თბილისში ქართველების რაოდენობა 35,2 პროცენტი იყო. სხვა ერების წარმომადგენლებიდან განსაკუთრებით ჭარბობდა სომეხი მოსახლეობა — ის 34,9 პროცენტს შეადგენდა. (აღ. დაუშვილი, თბილისი, 1937, თბილისი, 1997, გვ. 17). არაქართველი მოსახლეობა ძირითადად კარგად იყო მორგებული ჩუსულ დიქტატს და უფრთხოდა ქართული სახელმწიფოს გაძლიერებას, ამიტომაც თბილისის არაქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი ლოიალურად შეხვდა კომუნისტურ გადატრიალებას; სწორედ მათი რიგებიდან კომპლექტდებოდნენ, მეტ-ნაკლებად, პარტიული და საპროთა ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კადრები საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. ამდენად თბილისის პარტიული ნომენკლატურის მნიშვნელოვანი ნაწილი თვითშეგნებისა და მეტყველების მიხედვით ქართულად ორიენტირებული არ ყოფილა. ეს ნიშანი გასათვალისწინებელია თბილისურ მეტყველებაზე მსჯელობის დროს. თბილისში ქართული მოსახლეობის სწრაფი ზრდა დაიწყო 30-იან წლებში, როცა ფართოდ გაიშალა საფაბრიკო-აქარხნო მშენებლობა 1939 წელს თბილისში ქართველების რაოდენობა უკვე 44 პროცენტამდე გაიზარდა. (აღ. დაუშვილი, თბილისი, 1937, 1997, გვ. 17) არაქართულად ორიენტირებული და ქართულად ცუდად მეტყველი მოსახლეობა, ცხადია, ქმნის მეტყველების ისეთ ვარიანტს, რომელიც არ ემგვანება ქართულის ტრადიციულ დიალექტებს, და რამდენადაც დიალექტური მეტყველება ვიწრო ჯუფური თვითიდენტიფიკაციის გზაც გახლავთ, თბილისელთა ამ გარკვეული კატეგორიის მეტყველების წარმომადგენელნიც ენობრივად „ცნობენ“ ერთმანეთს.

რა სოციალურ ჯუფებს ქმნიდნენ თბილისის მკვიდრნი 20-იანი წლებიდან 30-იანი წლების ბოლომდე?

1) თბილისის სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობა ეკუთვნიდა სომეხ კაპიტალისტებს: ადელხანოვს, იარალოვს, ბოზარჯიანცს, ენფიანგიანცს და სხვ. ისინი საკუთარ საწარმოებში ხალისით ღებულობდნენ თანამემამულეებს, ამიტომაც თბილისის საწარმოებში (განსაკუთრებით ტყავ-ფეხსაცმლის წარმოებაში) ჭარბობდნენ სომეხი მუშები. ამ საწარმოებში სომხური ეროვნული

და ენობრივი სიტუაცია იყო განმსაზღვრელი. (ალ. დაუშვილი, თბილისი, 1937, 1997, გვ. 131). 1939 წელს თბილისის მოსახლეობაში მუშათა კლასის წარმომადგენლობა უკვე უდრიდა 43,7 პროცენტს (იყო 226 755 კაცი).

2) 30-იანი წლების შუა ხანებშიც კი საქართველოში, კერძოდ თბილისში, რიგ სამრეწველო შრომით კოლექტივებში მუშაბის საქმიად დიდმა გაუფეხმა არ იცოდნენ წერა-კიონხა.

3) მრავალეროვან კოლექტივებში აცურილებლად წარმოიშობოდა ენობრივი პრობლემა: სახაუბრო ენის საკითხი. რევოლუციამდე ეს პრობლემა უფრო მარტივად წყდებოდა: საწარმოში სასაუბრო იყო უმრავლესობის ენა, ხოლო ოფიციალური ურთიერთობის ენა იყო იმპერიის ენა — რუსული. 1923 წელს დამტკიცდა ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი და მისი ხმარება ყველა სახელმწიფო და კომერციულ დაწესებულებაში სავალდებულო გახდა. მიღებული დადგენილება მოითხოვდა, რომ ოფიციალური საქმის წარმოება ყველგან ყოფილიყო ქართულ ენაზე. ეს დროული და საჭირო გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მისი ჩეალიზაცია გარკვეული და გაძნელდა. ენობრივი საკითხის მოუწესრიგებლობა შეიძლება გამხდარიყო ეროვნებათაშორისი კონფლიქტის მიზეზი ან საბაბი. ეს ასეც მოხდა. (ალ. დაუშვილი, თბილისი, 1937, 1997, გვ. 134).

თბილისის რეგიონული დაყოფის მიღმა სოციალური საფუძვლები გამოიკვეთა: კომუნისტებს არ შეეძლოთ აშეარად გამოეხატათ თავისი მატერიალური და სოციალური პრიორიტეტები, რომელთაც ისინი კორსუფციით დაეუფლენ, ამდენად თავიანთი დიდი ფინანსური შესაძლებლობების დაქმაყოფილების გზაზე ისინი ერთ-ერთ ამოცანად თბილისის ცენტრალურ (და შესაბამისად, ისტორიულად ძველ) უბნებში დასახლებას მიიჩნევდნენ. ამ უბნებში კი, წარმოდგენილი სტატისტიკიდანაც ჩანს, მათ თანაცხოვება უხდებოდათ არაქართულ მოსახლეობასთან, რომელიც არაქართულენოვანიც გახდათ და ინტერცერიტებულად მეტყველებდა. მასთან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის, როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, წიგნიერების საკითხიც გადასაწყვეტი იყო.

ნომენკლატურულ კლასს თავისი შეიღების მომავლის უზრუნველსაყოფად ესაჭიროებოდა რუსული სკოლების დამთავრე-

ბა, რაც, აგრეთვე, ქართული მეტყველების ბუნებრივ განვითარებაში ჩარევას გულისხმობდა;

ჭალაქში რაიონებიდან შემოსული ნომენკლატურული ნამატებს წინაშე იღეა ამოცანა როგორმე მოჩვებოდა თავის თბილისურ სოციუმს და ასე ვთქვათ, „მის ენაზე ამეტყველებულიყო“; ამ გზაზე კი მას ელობებოდა ჯანსაღი ქართული დიალექტური გარემონან გაღმოყოლილი მეტყველების კვალი და უცხო ეთნოსთან ენობრივი თანაცხოვრების „გამოცდილების“ უქონლობა. ამ კატეგორიის მეტყველების „გაელიტარულების“ გზაზე აშეარაღ შეიმჩნევა თბილისის მეტყველების გარეგანი, უფრო აღვილად ასათვისებელი, ნიშნების დაჩემება და რეგიონიდან გაღმოყოლილი თავისებურებების „ქალაქურად“ მოქცევა;

ამ გზაზე ქალაქის მოსახლეობის შიგნით მოხდა სოციალური დაყოფა: ისინი, ვინც ქართული დიალექტებიდან მოდიან და პირდაპირ უკავშირდებიან სალიტერატურო ქართულს, და ისინი, ვინც დიალექტებიდან მოდიან, ან თბილისში დაიბალნენ, მერე „თბილისურ“ უარგონს დაუკავშირდნენ და მერე „გავიღნენ“ სალიტერატურო ქართულზე. ამდენად თბილისში რამდენიმე სოციალური მეტყველება ფიქსირდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე თბილისს მკაფიოდ დაეტყო ქართული მოსახლეობის მატება და ქალაქის მეტყველებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართულად მოლაპარაკეთა რიცხვი. თბილისი ქართული სალიტერატურო ენის განმტკიცების კერად იქცა თავისი პოლიტიკურ-იდეოლოგიური კურსითაც და ქართული მოსახლეობის მატების მიზეზითაც.

იოსებ გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“ მოცემული ლექსიკის ერთი ნაწილი არ წარმოადგენს ოდენ ქალაქურ ლექსიკის, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი (20-25%) სალიტერატურო ქართული ან გეოგრაფიული დიალექტების კუთვნილებაა (ზაგ., აბგარი, აზიზი (ილია), ბერიე, ბოზბაში, ბოლთა, გიაური, გულნამ-ცეცა და სხვ.). დაახლ. 5% დღესაც აქტიურად იხმარება უარგონულ მეტყველებაში (ტო, ხოში, ჩალიჩი, ჩაუთაქა, ჩაიგიბა, ჩაგაზილე, შუმტრი (შუსტრი), შააყოლე, ყურბანი, ყომარბაზი, ყომარი, ქლესა, ფეთიანი, სიცთა, სიცათი, სიბანდი (იშეილბაზე-ბით(ონბაზების) დამხმარე), პოსლიკა, იშტა, როშვა, უუზვა, უამი (=უშო), პუპუზ (=საქმე გაურიგო, მერე აილოს და პუ-

პუშ.. პირში ჩალა გამოგავლოს) და სხვ.); ალბათ, 10%-მდე ფრთხია განმავლობაში სალიტერატურო ქართულში გადავიდა (ზავ, ქაჩალი, ქილიკი, ფსონი, ფეთხუმი, სიქა (1. ლონე, ფულის ოონე 2. ბეჭედი) ნოქარი, რანგი (ფერი, საღებავი; 2. ზნე, ჩვეულება; 3. ღირსება).

ლევან ბერებაძის „ქართული უარგონის ლექსიკონში“ 600-ზე მეტი სიტყვაა, რომელთაც „ნამდვილ თბილისელთა“ მეტყველებაში მართლაც ყოველდღე ვისმენთ: აზრზეა, ათესა, ავარდა, აუდო (გრიშაშვილთანაცაა), „ამბავში პატივს გცემ“, აფუილებს, აფსინება, დათირა, დაიბრიდა, დაიადა, იაზობა, იბაირამა, თოშარი გაუშვა, სვოი ბიჭი, ვიდო, სვეტობს, ტობე (ებრ. კარგი), ტუფტა, ფუფლო, ფრაერი, ფირმა, ქეში, ქაჯი, ქსივი, შატალო (შათატას) შანტრაბა (შამპრაბა — არამზადების ჯგრო) ჩერებ-ჩურ, ჩერეზ ძმა, ჭკუა ეკეტება და სხვ.

ამ ორი ლექსიკონის მიხედვით ენობრივ ტენდენციათა შეფუძნება გვიჩენებს, რომ ლექსიკონთა გამოცემის შუალედში მნიშვნელოვნად გაზრდილა სკაბრეზულობა და ქურდული უარგონის გავლენა.

ოვეგოვი საკითხს ასე სვამს: შეიძლება თუ არა ჩუსული ქალაქის მეტყველება ჩაითვალოს რუსული ენის ერთ-ერთ დიალექტად? მისი აზრით, დიალექტის გაგება დღემდე არ შეიძლება საბოლოოდ განსაზღვრულიდ მივიჩნიოთ. ერთი რამ ნათელია: ერთი დიალექტის ბერითი ელემენტების დამთხვევა სხვა დიალექტებისაზე არ არვევს მის განკუნძულობას. დიალექტს შეუძლია ისესხოს მეზობელ დიალექტთაგან ყველა ფონეტიკური ელემენტი, და ეს ნასესხობანი მანამ არ დაარღვევენ ერთიანობას, ვიდრე მთლიანი იქნება დიალექტის ფონოლოგიური სქემა. ხოლო იგი ძირითადად დაცულია ამ დიალექტის სხვათაგან გამორჩეული სოციალური გარემოთი. ამ უკანასკნელს კი განსაზღვრავს მოლაპარაკეთა შეგნება, რომელიც მას განასხვავებს სხვებისაგან.

ყველაზე უკეთ ქალაქური (ჩვენს შემთხვევაში, თბილისის) მეტყველების დახასიათება ხერხდება ანეკდოტებში, სადაც ყველაზე ტიპურად მიჩნეული ლექსიკა და გამოთქმაა ქცენტირებული, და სადაც იგრძნობა, რომ მეტწილად „ნამდვილი თბილისელის“ მეტყველებაზე ხაზისმა სწორედ ავლაბრული ქართული გარე ნიშნების წინ წამოწევით ხდება (ხოლო, რაც შეეხება ავლაბრულ

მეტყველებსას, მისი ეთნო-ენობრივი ორიენტაციისა და წიგნური ტრადიციების შესახებ უკვე ვისაუბრეთ).

„მდაბიური მეტყველების“ ძირითადი ტენდენციების შესახებ უნდა ითქვას შემდეგი:

განსაკუთრებულია ორთოეპია მდაბიური მეტყველებისა. მართალია, მდაბიური მეტყველება თავისი ბევრითი თავისებურებებით უახლოვდება სალიტერატურო ენას, მაგრამ რიგი თავისებურებების შემცველიცაა, რაც მას გამოჰყოფს განსაკუთრებულ ორთოეპიულ სისტემად. ესაა ზეპირი, სასაუბრო, ენა. მასში მეტია ფიზიოლოგიური ინერცია და ლიტერატურული ასოციაციებისაგან თავისეუფლება. ამ ორთოეპიულ თავისებურებათაგან ზოგი ახასიათებს ბევრ დიალექტსაც. მაგრამ ისინი იმდენად საერთოა და არ ეწინააღმდეგება სალიტერატურო ენის ტენდენციებს, რომ შეიცნობა არა დიალექტებთან კავშირში. საუბრის ფორმები, სისწრაფე და წყვეტადობა აძლიერებს გამოთქმის ფიზიოლოგიურ ინერციას. ამას განეკუთვნება:

თანხმოვანთა ჯგუფის გამარტივება. მაგ. სალიტერატურო ენის გეერდით თანხმოვანთა ჯგუფის გამარტივება -მაგ., რუსულში gde-de, vsegda-vseda, skolko-skoko... მაგრამ, მაგ/ამ; ვინაც/უინაც; კარგად, კარქა...

რბილი თანხმოვნის მოშორება: ძან, კარგა, და სხვ.; მარცვალთა შემოკლება: გამაკეთებინა — გამაკეთინა, გაუუთოვა — გაუთოა ზმნისწინებში: ჩაყინთა — დაყინთა, დაუბერა — გაუბერა, ..

დიალექტური აქცენტირება ლიტერატურული ფორმებისა. (ე! ეკიშალოთ ახლა!)

ბევრის გადასმა (ზიზნესმენი/ზიზმესმენი, ჩეანიმაცია-ჩეამინაცია);

განსაკუთრებით ხშირია ლექსიკონის მნიშვნელობის ცვლა ქალაქეურ უარგონში: ბნელები (ჩამორჩენილები)

ძალიან ჭიგარი კაცი იყო... წავედი... ცოტა შეყვანილი კი მქონდა...

ურნალისტ-ლაშირაკების ხროვები თავიანთი რამერუმებით...

ფრანგულის კი მე ბაიბურში არა გარ... მიაწვი და მიაწვი...

ინგლისურს ესეც მაგრად ამტკრევს, ეჭედება... ფრანგია... მეც მივაწევი ერუდიციას... ერთი სიტყვით, მაგარი მატრაკვეცობა გავახურეთ ანრიმიშოებითა და სხვა ამისთანებით...

„ბალანჩინი“ დავურტყი, იმან იმდენი შაბბანური ჩაწრუპა...“

„ვერაფრით ვერა ვხარშავდი, რა მოხდა?...“

ანდა აშეარად, დემონსტრაციულად ისეთი უჭირავს,

• წშირად იცვლება სიტყვის სტანდარტი და, შესაბამისად ჩნდება ახალი მნიშვნელობაც, ან მნიშვნელობითი ელევრი:

დაჯე (და არა დაჯეი),

ჩამოქთერი (და არა ჩამოქთრიე)

რო (და არა „რომ“)

არავიზე (და არა არავისზე)

ჯობია (და არა ჯობს ანუ უმჯობესია). ...

„რომელთა თარეშის შემდეგ ქალაქში სიპარტანე და იავარება დაისაღვურებს.“

• განსაკუთრებით ქალაქურადაა გაგებული უცხო სიტყვების სპეციფიკური პრონონით წარმოოქმა:

„ატსტაგა“ შიგეცი

„არ დამენახო, შე დეჟექტუროო!...“

ეხლავე ჩამოვალ-მეთქი! — ვიმეორებ ფსიხიკით“...

იმართება პრეზენტაცია და... რომელი დიუმისტი მევარი?.. მთელი „გაუნი“ ხალხი ახვევია და რა თქმა უნდა, ძალიან მესიამოვნა და დიდი ფუფურით ხელში გავიარ-გამოვიარე“.

„მშვენიერი ანტურაჟი..“ ეს ააღაც მექანიკურ ტრიუქსა ჰეგავდა...“ ყველა აღვზნებულია (ანდა აშეარად სიაბანდობს, რომ სულაც არაა აღვზნებული), ყველა საშინლად მატრაკვეცობს (რომ „ვააბშე“ არაფერი აინტერესებს და ყველაფერი ფეხებზე ჰქილია)...

...აეგეთი „ტუბიაფი“ ვარ!

ერთხელაც მაგარ „პრიხოდში“ ვარ და ტელევიზორს ვუყურებ...“

„თუ ძალიან „ბაზარინი“ სიტუაცია არაა შენთან... მოვალო“.

• ღლევანდელი „თბილისელობა“ სკაბრეზულობის მორგებასაც გულისხმობს:

„პედორასტი და „უბიიცა“ ქან უნეს შემოქმედების განხილვის აღარავითარი ხოში აღარ...“ „ადექი, მე შენი დედა მოვტ...ნ!“

„ფუ! შენი დამბადებლის დედა!“

„ტერიტორიულად სად იმყოფებით? — იკითხა ქალმა. — ევას პავაროტში!! — უპასუბა აღბერტმა“.

თანამედროვე ავტორთა კრებულებში იგრძნობა ქალაქელობის დაჩქების სურვილი, რაც ამ ავტორებს ტრადიციული ქართული სინამდვილიდან მოწყვეტილობის ხაზგასმად წარმოადგენიათ. ისინი ეტანგბიან ხელოვნურ ფორმებს, ცდილობენ არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენონ დიალექტური ან ქართული კლასიკური ლიტერატურის ენისათვის დამახასიათებელი ხატოვანება. ამას შეიძლება სამი მიზეზი ჰქონდეს: 1) ქალაქელობად მათ მიაჩნიათ საერთო სახელმწიფო სივრცის არაურბანული ნაწილისაგან სრული იზოლირებულობის დაჩქება; 2) იმისათვის, რომ თავი ქალაქური ნიშნის მატარებლად შეიგრძნონ, მათ ესაჭიროებათ უცხოური ურბანომოდელების დასტური, ანუ საკუთარი თავის წარმოდგნა მათი გაგებით კოსმოპოლიტური ურბანული სივრცის ნაწილად; 3) ლიტერატურული სკოლების თვალსაზრისით ისინი ეკუთვნიან თანამედროვე ავანგარდულსა და სხვ. მიმდინარეობებს, რომელთაც თავისითავად ახასიათებთ ემოციურობიდან დაცლილობა, რაც, ცხადია, ენობრივადაც აისახება.

- თანამედროვე მწერალთა ენის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ლექსიური ცენზურის მოხსნაა, რასაც სკაბრეზულობისაკენ განსაკუთრებული სწრაფვა მოსდევს; მათ არ გამოსდით დადებითი გმირი (ყოველ შემთხვევაში, დადებითი გმირის შეტყველება არ არის ხოლმე პოზიტიური კონტაკისა).

ქართულ სინამდვილეში სოციალური ჯგუფების გამოყოფა და ენობრივი დახასიათება ჯერჯერობით ფრაგმენტულად წარმოებს. სოციალური სტრატების მოდელებს ძირითადად ევრო-ამერიკული გამოცდილების საფუძველზე ადგენენ, მაგრამ ჩვენში უკვე დაგროვდა ნაშრომები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ქალაქური მეტყველების ნიშნების გამორჩევა და კონკრეტულად თბილისური მეტყველების სოციოლინგვისტური კვლევის უართომასშტაბიანი კვლევის ისეთი გეგმის შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებს არა მხოლოდ უცხოურ სტანდარტს, არამედ

კონკრეტულ სპეციფიკას და ამის საფუძველზე გაშლის კვლევით საქმიანობას. მანამდე კი ე. წ. „შემგრძელებლიბით“ მუშაობაა ჩასატარებელი, რომელიც არ დაკარგავს თბილისის მუდმივცვალებად ენობრივ ისტორიაში გაჩენილ არც ერთ თავისებურებას.

ი. გრიშაშვილი წერს: „ქალაქური ენაც, უარგონი (არგო) იქ იძალება, სადაც გონებამახვილი ხალხია, მხიარული, დარღიმანდი; სადაც სიცოცხლის და ადამიანის დაუშრეტელი სიყვარული სუფევს“ (ი. გრიშაშვილი, 1977, 11). იგი ქალაქურ ლექსიკაში მოხვედრილ ყველა ერთეულს ენის სიმდიდრედ მიიჩნევს და იმოწმებს თ. ჩაზიქაშვილს: „იყოს ლექსიკონში და ნუ დაისწავლით!“ („ივერია“, 1900 წ., №127).

ლიტერატურა

ლევან ბრეგაძე, ქართული უარგონის ლექსიკონი, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 1999.

იოსებ გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, თბილისი, გამოცემლობა „სამშობლო“, 1997.

თომა გუგუშვილი, საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები, თბილისი, საგამომცემლო ფირმა „პოლიგრაფი“, 1998.

ალ. დაუშვილი, თბილისი, 1937, თბილისი, სააქც. საზ. კევლი, 1997.

შოთა თეთვაძე და ოთარ თეთვაძე, სომხები საქართველოში, თბილისი, 1998.

თბილისი, ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკლევა, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1989.

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, სტატისტიკური კრებული, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი, თბილისი, 1991.

С. И. Ожегов, О просторечии (к вопросу о языке города), Вопросы языкоznания, №5, Москва, "Наука", 2000.

П. Аргутинский. Население Тифлиса. Тифлисск. Муниципальный Календарь на 1917 г. Тифлис, 1916.

Лингвистический энциклопедический словарь, Москва, «Советская энциклопедия», 1990.

The City in Slang, New York life and Popular Speech, Irving Lewis Allen, New York, Oxford, Oxford University Press, 1993.